# დანართი 1.1.
# გელათის მონასტრის ხილვადობის პანორამული ანალიზი

გელათის მონასტრის ხილვადობის მნიშვნელოვანი არეალებისა და წერტილების გამოსავლენად მართვის გეგმის სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა სივრცით-კარტოგრაფიული ანალიზი რელიეფის სიმაღლურ-სივრცითი ციფრული მოდელის გამოყენებით, გადამოწმდა და დაზუსტდა ე.წ. ხილვადობის აუზები (viewshed) და აქტიური ხილვადობის ზონები ბუფერული ზონის ფარგლებში და მის მიღმა (იხ. რუკა 21).




*რუკა 21. გელათის მონასტრის ტერიტორიიდან ხედვის აუზი, ბუფერული ზონის საზღვრების მითითებით*

აღნიშნული სამუშაოს საფუძველზე, მოინიშნა მონასტრის აღქმის 48 წერტილი საზოგადოებრივ სივრცეში სხვადასხვა მანძილზე და სიმაღლეზე: ქუთაისი-ტყიბულის მაგისტრალური გზის, მოწამეთას, კურსების, სორმონისა და გელათის შიდა სასოფლო გზების და მდ. წყალწითალეას ხეობის ისტორიული გზების გასწვრივ. სამუშაოების შემდგომ ეტაპზე მოხდა ამ წერტილების საველე შეფასება. წინასწარ შერჩეული წერტილების ნაწილიდან ხედები არ დაფიქსირდა, რადგანაც სიმაღლურ-სივრცითი მოდელი არ ითვალისწინებს განაშენიანებას და მწვანე საფარს და მოცემულ წერტილებში მხედველობას ხელს უშლიდა შენობები ან აქტიური გამწვანება.




*რუკა 34: გელათის მონასტრის ხედვის წერტილები, გადაღებული საველე პანორამული ანალიზისას 05.2024.*

36 წერტილი საიდანაც სხვადასხვა ხარისხის ხედები დაფიქსირდა (იხ. რუკა 34), დაჯგუფდა შემდეგი კლასიფიკატორების მიხედვით:

ა) აქტიურ საზოგადოებრივ სივრცეში გელათის მონასტრის აღქმის პრიორიტეტული წერტილები

ბ) საზოგადოებრივ სივრცეში შორი აღქმის მეორეხარისხოვანი წერტილები

გ) შიდასასოფლო გზებიდან აღქმის წერტილები

დ) შიდასასოფლო გზებიდან შორი აღქმის მეორეხარისხოვანი წეტილები.

ე) წყალწითელას მარჯვენა სანაპიროზე ან კერძო სივრცეებიდან აღქმის წერტილები.

ვ) პანორამული ხედვის წერტილები, ე.წ. ბელვედერები.

შერჩეული წერტილებიდან ხედების ანალიზისას გამოყენებულ იქნა თანახილვადობისა და ურთიერთხილვადობის შეფასების მეთოდი.

თანახილვადობის ანალიზი გამოყენებულ იქნა გელათის მონასტრის ხედვის კონუსში სხვადასხვა პლანზე არსებული სხვა არქიტექტურული ობიექტების და ბუნებრივი ელემენტების აღქმის შესაფასებლად, შესაბამისი ანოტაციები მოწემულია პანორამებთან ერთად.

ურთიერთხილვადობის შეფასება გამოყენებულ იქნა აღქმის წერტილების ვიზუალური ურთიერთქმედების დასადგენად გელათის მონასტრიდან და მონასტრის მიმართულებით გადაღებული ხედების შედარების მეშვეობით.

**თანახილვადობის ზოგიერთი მახასიათებელი:**

**შორი ხედვის წერტილებიდან** გელათის კომპლექსი დოხორას მთის ტყიანი ფერდის ფონზე ისახება, მის ქვემოთ მთის კალთაზე განფენილი ტრადიციული სასოფლო განაშენიანების თავზე. ასეთი დისტანციიდან პანორამა სამ ძირითად შრედ წარმოგვიდგება - წინა პლანზე უმეტესად მდელოები ან ხეების მწკრივები, შუა პლანზე - გორაკები, სოფლები და მათ თავზე სამონასტრო კომპლექსი, უკანა პლანზე კი კავკასიონის შორეული მთაგრეხილი.

გელათის ბუფერულ ზონაში სასოფლო განაშენიანების ძირითადი სივრცითი მახასიათებლები ტიპიურია დასავლეთ საქართველოს სოფლებისთვის. სოფლის გეგმარებითი სტრუქტურა რელიეფის თავისებურებას ორგანულადაა მორგებული და ლანდშაფტში თავისუფლად განლაგებული საცხოვრებელი სახლების, ხეხილიანი ვრცელი ეზოებისა და სასიმინდე და საბოსტნე ნაკვეთებისაგან შედგება. შორი ხედვის წერტილებიდან პანორამის მაფორმირებელი ელემენტად სივრცის გეგმარებითი სტრუქტურის გარდა სახურავების ფერი და დახრა შეიძლება გამოიყოს.

სასოფლო საცხოვრებელი სახლები უპირატესად ორსართულიანია. შენობების უმეტესი ნაწილი შინდისფერ-მოწითალო ტონებში შეღებილი ან მოთუთიებული თუნუქითაა დახურული. დამახასიათებელია სახურავის 30% დახრა. დღეს არსებული განაშენიანების უმეტესი ნაწილი მე-20 საუკუნეშია აგებული, თუმცა შემორჩენილია უფრო ადრეული ხის ოდა სახლები და კრამიტით დახურული შენობებიც.

**ახლო ხედვის წერტილებიდან** ვიზუალურ აღქმაში მნიშვნელოვანი როლს თამაშობს შენობების არქიტექტურული დეტალები - აგურის ფასადების დეკორტიული წყობა, მეტალის აჟურული ელემენტებით შემკული ფართო ვერანდები. ახლო დისტანციიდან პანორამის მნიშვნელოვანი ელემენტებია ხის სარებით მოწყობილი მარტივი სამიჯნე ღობეები და ეზოს მესერები, გამწვანების ელემენტები: მასიური აკაციებისა და მუხების კორომები, ეზოებში კაკლის და ბლის ხეები, სივრცითი გახსნები მდელოებით, კოინდარიანი ეზოებით, ყვავილნარით, ვარდებით, საბოსტნე და სასიმინდე ნაკვეთებით.

თანამედროვე ბლოკისა და ბეტონის ღობეებს ისევე როგორც მანსარდულ სახურავებს მნიშვნელოვანი დისონანსი შეაქვს ისტორიული ლანდშაფტის აღქმაში. ცალკე აღსანიშავია, წყალწითელას სანაპიროები გელათში საავტომობილო ხიდის მიმდებარედ: რესტორან გელათის დაუმთავრებელი რკინა-ბეტონის მიშენება და მიმდებარედ გადათხრილი ნაკვეთი, ბენზოგასამართი სადგური, მის უკან და მდინარის პირას ქვის საამქროები წინააღმდეგომაში

მოდის როგორც მდინარის მაღალ ბუნებრივ და ლანდშაფტურ ღირებულებებთან, ასევე მის რეკრეაციულ ფუნქციასთან.

სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტების დამუშავებისას გასათვალისწინებელია რკინიგზის ყოფილი სადგურის მიმდებარე ტერიტორიის სამომავლო განვითარების შესაძლებელობა ისევე როგორც გელათის მონასტრის მიმდებარედ სოხასტერის როგორც ისტორიულ-კულტურული ასევე სივრცით-გეგმარებითი მნიშვნელობა. ამ ტერიტორიაზე განაშენიანების აკრძალვა უმნიშვნელოვანესია გელათის სამონასტრო ანსამბლის ისტორიული ლანდშაფტისა და სილუეტის დაცვისა და მისი, როგორც სივრცითი დომინანტის როლის შენარჩუნებისათვის, რაც განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ერთ-ერთ მახასიათებელს (ატრიბუტს) წარმოადგენს.

***ა) აქტიურ საზოგადოებრივ სივრცეში გელათის მონასტრის აღქმის პრიორიტეტული წერტილები.***

ეს წერტილები ყველაზე ხშირად და ყველაზე მეტი ადამიანის მიერ გამოიყენება. აქედან მონასტერი მხედველობის კონუსის ცენტრში მკაფიოდ აღიქმება, როგორც არქიტექტურული ანსამბლი, უშუალოდ მიმდებარე გარემოსთან ერთად.

ასეთ პრიორიტეტულ ადგილებად გამოვლინდა ქუთაისი-ტყიბულის მაგისტრალური გზის რამოდენიმე წერტილი #2 (მოწამეთას ჩასახვევი), #14 (რესტორანი გელათის წინ მოედანი), #15, 15-1, #16, 16-1, # 17, (სორმონის გადასახვევიდან მდ. წყალწითელამდე), ასევე გელათის რკინიგზის სადგურის წინ მოედანი (#13 (სადგური ამჟამად უმოქმედოა, თუმცა პოტენციურად აქტიურად გამოყენებადი საჯარო სივრცეა) და მონასტერთან ასასვლელი სამანქანო გზის რამოდენიმე მონაკვეთი (#24, 24-1, #26, #26-1, #25, #27).



*წერტილი #16. ხედი ქუთაისი-ტყიბულის მაგისტრალური გზიდან. წინა პლანზე საცხოვრებელი ნაგებობა სახურავის დამახასიათებელი კონტურით, აუთვისებელი მიწის ნაკვეთი და გამწვანება. უკანა პლანზე დოხორას მთის სახასიათო პროფილი და გელათის მონასტერი ტყიანი ფერდობის ფონზე.*





*წერტილი #2. პირველი მნიშვნელოვანი ხედვის წერტილი ქუთაისი-ტყიბულის მაგისტრალურ გზაზე სოფელ მოწამეთას გადასახვევთან. აღქმის არეალში წინა პლანზე თავისუფალი გეგმარების სასოფლო განაშენიანება, გამწვანება და შიდასასოფლო გზა ბეტონის საფარით. უკანა პლანზე დოხორას მთის სახასიათო პროფილი და მის კალთაზე სამონასტრო ანსამბლი.*



*წერტილი #15. ხედი ქუთაისი-ტყიბულის მაგისტრალური გზიდან. წინა პლანზე აუთვისებელი ბადით შეღობილი მიწის ნაკვეთი, მდელო მასიური ხეების ფონზე. უკანა პლანზე დოხორას მთის სახასიათო პროფილი და გელათის მონასტერი ტყიანი ფერდობის ფონზე, თავისუფალი სასოფლო განაშენიანების თავზე, მკაფიოდ გამოირჩევა დავითის კონცხი.*

*წერტილი #14. ხედი წყალწითელას მარჯვენა ნაპირზე, საავტომობილო ხიდის მიმდებარე მოედნიდან. წინა პლანზე რესტორანი გელათი, რკინა-ბეტონის დაუმთავრებელი მიშენებით და მოუწესრიგებელი მიწის ნაკვეთით. მოედანზე გამოდის ბენზინგასამართი სადგური, შეუსაბამოდ დიდი და ვიზუალურად მეტად შეუსაბამო სასტუმრო და რამოდენიმე ძველი შენობა. უკანა პლანზე ტყიანი მთის კალთაზე სივრცითი დომინანტი - გელათის მონასტერი. სასოფლო განაშენიანება მწვანეშია ჩაფლული და რაკურსიდან ძნელად შესამჩნევი.*



*წერტილი #25. ხედი გელათის მონასტერთან ასასვლელი საავტომობილო გზიდან. ხედვის კონუსის ცენტრში ახლო მანძილიდან შესანიშნავად აღიქმება გელათის სამონასტრო ანსამბლი, რელიეფის თავისებურება, მოასფალტებული გზის სახასიათო მოსახვევი და მწვანეში ჩაფლული გაფანტული სასოფლო განაშენიანება. პანორამაში დისონანსის შემტანია ბილბორდი.*



*წერტილი #26. ხედი გელათის მონასტერთან ასასვლელი საავტომობილო გზიდან. წინა პლანზე კერძო ნაკვეთის ალაყაფის ახალი კარი და მეტალის ფურცლებით შეკრული ღობე. გელათის მონასტერი ტყიანი ფერდის ფონზე, სასოფლო განაშენიანების თავზე, ახლო ხედით მხედველობის კონუსის ცენტრში სივრცით დომინანტს წარმოადგენს. განაშენიანება მწვანეში ჩაფლული სახურავების დამახასიათებელი კონტურით ჩნდება.*



*წერტილი #27. ხედი გელათის მონასტერთან ასასვლელი საავტომობილო გზიდან. წინა პლანზე ახლად აშენებული კერძო სახლი ბეტონის ღობით შეუსაბამო არქიტექტურის და ფერთა გამით ჩრდილავს სამონასტრო ანსამბლის დომინანტურ როლს. მოსაწესრიგებელი ელექტროენერგიის ხაზები, სანაგვე ურნა.*



*წერტილი #24. ხედი გელათის მონასტერთან ასასვლელი საავტომობილო გზის ბოლო მონაკვეთიდან. წინა პლანზე წყაროცხოვრებისას ეკლესია, ვიზიტორთა ავტოსადგომი და მოასფალტებული გზა ბეტონის ბორდიურით. მწვანეში ჩაფლული სამონასტრო ანსამბლის სილუეტი ახლოდან აღიქმება მისი არქიტექტურული დეტალებით. ასევე კარგად აღიქმება სახასიათო რელიეფი და ანსამბლის მიმართება სოხასტერთან.*

*ბ) საზოგადოებრივ სივრცეში შორი აღქმის მეორეხარისხოვანი წერტილები.*

ამ წერტილებიდან გელათის მონასტერი აღიქმება როგორც უფრო ფართო პანორამის შემადგენელი მნიშვნელოვანი ელემენტი, არქიტექტურის დეტალური გარჩევადობის გარეშე.

ასეთ წერტილებად გამოვლინდა სორმონის საავტომობილო გზის მონაკვეთები (#4, #5, #7, #8, #9, #10, #11) და მოწამეთას გადასახვევი (#1). მოწამეთას გზიდან რელიეფისა და აქტიური გამწვანების გამო გელათი პრაქტიკულად არ აღიქმება. ერთი მონაკვეთიდან ხედი დაფიქსირდა კერძო ნაკვეთიდან (#3), სხვა წინასწარ მონიშნულ წერტილებში მიხვეულ-მოხვეული სამანქანო გზა და რელიეფის სირთულე არ იძლევა დაკვირვების საშუალებას.



*წერტილი #4. ხედი სორმონის საავტომობილო გზიდან. წინა პლანზე დახრილ რელიეფზე საცხოვრებელი შენობების სახურავის კონტურები, მავთულის ბადით შეღობილი ნაკვეთი და გამწვანება. სამონასტრო ანსამბლის სილუეტი შორიდან აღიქმება ტყიანი მთის ფონზე, სასოფლო განაშენიანების თავზე.*



*წერტილი #5. ხედი სორმონის საავტომობილო გზიდან. წინა პლანზე აკაციების და მუხების კორომები, რომელთა შორისაც შემთხვევითი გახსნისას შორიდან აღიქმება სამონასტრო ანსამბლის სილუეტი ტყიანი მთის ფონზე.*



*წერტილი #6. ხედი სორმონის საავტომობილო გზიდან. წინა პლანზე ტყის კოროძებს შორის გახსნილი მდელოები. ხეების გამო გზის ამ მონაკვეთიდან შორიდან აღიქმება მხოლოდ დავითის კონცხი.*





*წერტილი #7. ხედი სორმონის საავტომობილო გზიდან. წინა პლანზე ტყის კორომებით მოფარგლული მდელო დაღმავალ რელიეფზე. შორიდან მხედველობის კონუსის ცენტრში აღიქმება გელათის მონასტერი სასოფლო განაშენიანების თავზე, ტყიანი მასივის ფონზე.*





*წერტილი #8. ხედი სორმონის საავტომობილო გზიდან (მოახლოებული კადრი). წინა პლანზე ტყის კოროშებით მოფარგლული მდელო. მხედველობის კონუსის ცენტრში აღიქმება გელათის მონასტერი სასოფლო განაშენიანების თავზე, ტყიანი მასივის ფონზე.*





*წერტილი #9. ხედი სორმონის საავტომობილო გზიდან. წინა პლანზე სოფელში ჩასასვლელი გრუნტის დამრეცი გზა, საცხოვრებელი ნაკვეთები ხეხილით და აკაციებით. გელათის მონასტერი შორ წერტილად აღიქმება სასოფლო განაშენიანების თავზე, ტყიანი მასივის ფონზე.*



*წერტილი #10. ხედი სორმონის საავტომობილო გზიდან. ბუფერული ზონის გარეთ. წინა პლანზე მავთულის ბადით შეღობილი საცხოვრებელი ნაკვეთი ახლადაშენებული ხის კოტეჯით. შუა პლანზე ხეების მწკრივი და დამრეც რელიეფზე სახურავის კონტური. გელათის მონასტერი შორ წერტილად აღიქმება, ტყიანი მასივის ფონზე.*



*წერტილი #11. ხედი სორმონის საავტომობილო გზიდან. ბუფერული ზონის გარეთ. წინა პლანზე დამრეც რელიეფზე ხის ძელებით და მავთულის ბადით შეღობილი მდელო. შუა პლანზე ხეების მწკრივი და საცხოვრებელი სახლის სახურავის კონტური. გელათის მონასტერი შორ წერტილად აღიქმება ტყიანი მასივის ფონზე.*





*წერტილი #1. ხედი მოწამეთას საავტომობილო გზიდან. წინა პლანზე მოასფალტებული გზა, ელექტროგადამცემი ხაზები, დამრეც რელიეფზე ხის ძელებით და მავთულის ბადით შეღობილი მდელო და ხეების კოროშები. გელათის მონასტერი შორ წერტილად აღიქმება დოხორას მთის დამახასიათებელი პროფილით, მის ქვემოთ გაშლილი სასოფლო განაშენიანებით.*





*წერტილი #3. ხედი მოწამეთას საავტომობილო გზიდან. წინა პლანზე ახლად აშენებული საცხოვრებელი სახლი დამრეც რელიეფზე ბეტონის ღობით, უკანა პლანზე ხეობაზე გახსნა გორაკებზე გაფანტული სასოფლო განაშენიანები და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებით. გელათის მონასტერი შორ წერტილად აღიქმება დოხორას მთის კალთაზე, მის ქვემოთ გაშლილი სოფლის თავზე.*

### *გ) შიდასასოფლო გზებიდან აღქმის წერტილები*

ამ წერტილებიდან გელათის მონასტერი მხედველობის კონუსის ცენტრში მკაფიოდ აღიქმება, როგორც არქიტექტურული ანსამბლი, მისი უშუალოდ მიმდებარე გარემოსთან ერთად. პანორამის წინა პლანზე, როგორც წესი, მოცემულია საცხოვრებელი სახლების და სხვა ნაგებობების არქიტექტურა, ეზოები, ღობეები და კარიბჭეები, სამეურნეო ნაკვეთები ხეხილით. თუმცა სამონასტრო ანსამბლი მყისიერად იპყრობს ყურადღებას როგორც სივრცითი დომინანტი.

ასეთ მონაკვეთებად გამოვლინდა გელათისა და მოწამეთას შიდა სასოფლო გზების წერტილები #18, #19 (მოწამეთა), #13 (გელათი, რკინიგზის სადგურის წინ), #22 (გელათი, სასტუმრო აგატის წინ), #36 (გელათი-სორმონის ამჟამად უმოქმედო გზაზე ახალმშენებლობებთან).





*წერტილი #18. ხედი მოწამეთას შიდასასოფლო გზიდან. წინა პლანზე ლითონის მესერით შეღობილი ნაკვეთი, შუა პლანზე პლანზე მასიური ხეების კორომები. უკანა პლანზე დოხორას სახასიათო პროფილი. გელათის მონასტერი შორ წერტილად აღიქმება მთის კალთაზე, მის ქვემოთ გაშლილი სოფლის თავზე.*



*წერტილი #19. ხედი მოწამეთას შიდასასოფლო გზიდან. წინა პლანზე ლითონის მესერით შეღობილი ნაკვეთი, შუა პლანზე პლანზე ხეების კოროშები და საცხოვრებელი სახლები. უკანა პლანზე გელათის მონასტერი მთის კალთაზე, მის ქვემოთ გაშლილი სოფლის თავზე. ამ წერტილთან გადის რკინიგზის ხაზი. შემორჩენილია ძველი ინფრასტრუქტურული ნაგებობა.*





*წერტილი #20. ხედი მოწამეთას სოფლის განაშენიანების კიდიდან. წინა პლანზე წყალწითელას მარჯვენა შემაღლებული ნაპირი, გახსნილი სივრცე, შემოფარგლული დაბალი ბუჩქნარით და ხეებით. უკან გახსნა დოხორას კალთაზე გაფანტული სოფელ გელათის განაშენიანება და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები. გელათის მონასტერი მთის კალთაზე, ტყიანი ფერდობის ფონზე. ტერიტორიაზე მიმდინარეობს რამოდენიმე ახალი საცხოვრებლის მშენებლობა.*





*წერტილი #36. ხედი გელათი-სორმონის ამჟამად უმოქმედო გზიდან (მოახლოებული კადრი). წინა პლანზე ხეების კოროვები, უკან გახსნა დოხორას კალთაზე გაფანტული სოფელი გელათის განაშენიანება და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები. გელათის მონასტერი მთის კალთაზე, ტყიანი ფერდობის ფონზე აქტიურად იკითხება მხედველობის კონუსის ცენტრში. ტერიტორიაზე მიმდინარეობს რამოდენიმე ახალი საცხოვრებლის მშენებლობა.*





*წერტილი #13. ხედი გელათის ამჟამად უმოქმედო რკინიგზის სადგურის მოედნიდან. წინა პლანზე ახალი/დაუმთავრებელი საცხოვრებელი შენობები, შიდასასოფლო გზა ბეტონის საფარით და მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი სივრცე. უკანა პლანზე დოხორას კალთაზე გელათის მონასტერი მთის კალთაზე, ტყიანი ფერდობის ფონზე აქტიურად იკითხება მხედველობის კონუსის ცენტრში.*

*ამ წერტილში გადის ამჟამად უმოქმედო რკინიგზა. შემორჩენილი ძველი სადგურის შენობა საცხოვრებელი ფუნქციით გამოიყენება.*

*დ) შიდასასოფლო გზებიდან შორი აღქმის მეორეხარისხოვანი წერტილები.*

ასეთი წერტილებიდან მონასტერი აღიქმება შორი ხედით პანორამის უკანა პლანზე, ნაკლებ მნიშვნელოვანი არქიტექტურული დეტალის სახით. ასე აღიქმება გელათი სოფელი კურსების შემაღლებული ნაწილიდან (#33,#34,#35) სიდანაც ჩანს დოხორას მთა და მისი მონუმენტური კლდოვანი ჩანართები და გამწვანებაში ჩაფლული გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის სილუეტი.





*წერტილი #33. ხედი კურსების შიდასასოფლო გზიდან (მოახლოებული კადრი). წინა პლანზე აკაციების, კაკლის, წიფლის კოროვები. უკანა პლანზე წყალწითელას ხეობის გაღმა მთის მახივი და გელათის მონასტერი დოხორას ტყიან კალთაზე.*





*წერტილი #35. ხედი კურსების შიდასასოფლო გზიდან (მოახლოებული კადრი). წინა პლანზე აკაციების, კაკლის, წიფლის კორომები. გელათის მონასტერი ჩანს წყალწითელას გაღმა შორს დოხორას ტყიანი მასივის კალთაზე.*

*ე) წყალწითელას მარჯვენა ნაპირზე ან კერძო სივრცეებიდან აღქმის წერტილები.*

ამ წერტილებიდან მონასტერი მკაფიოდ აღიქმება როგორც არქიტექტურული ანსამბლი, თუმცა ტერიტორია ჯერ აუთვისებელია #21 (სოფ. მოწამეთას მიკუთვნებულ ტერიტორიაზე დარეგისტრირებული კერძო ნაკვეთები) ან სამრეწველო/ნარჩენების ფუნქციით გამოიყენება ფოტო #14-1, 14-2 (სოფ. გელათის ტერიტორიაზე ქვის საამქროები და სასტუმრო გელათი თაუერის უკანა მხარე).

| | |
|---|---|
| | |
|  | *წერტილი #21. ხედი მოწამეთას განაშენიანების კიდიდან, წყალწითელას მარჯვენა ნაპირზე. წინა პლანზე დაბალი ბუჩქნარით შემოფარგლული ვრცელი მდელო გელათის მონასტერი ჩანს წყალწითელას გაღმა დოხორას ტყიანი მასივის კალთაზე.* |
| | |



*წერტილი #14-1. ხედები წყალწითელას მარჯვენა ნაპირიდან, გელათი თაუერის უკან.*

*3) პანორამული ხედვის წერტილები, ე.წ. ბელვედერები.*

ეს არის წერტილები სივრცითი დომინანტებზე, საიდანაც იშლება ფართო პანორამები. ასეთ წერტილებად გვევლინება გელათის მონასტრის ეზოში რამოდენიმე ადგილი #28, #29, #30, სოხასტერი #23, ასევე დავითის კონცხი #31, წმ. საბასა და წმ. ნინოს ეკლესიები (#31-1, 31-2), საიდანაც ხელის გულზე მოსჩანს გელათის კომპლექსი, სოხასტერი და მის ქვემოთ გაშლილი ხეობა, ქუთაისი, ხვამლის მთა და კავკასიონი.



*წერტილი #28. ხედი გელათი მონასტრის ეზოდან ჩრდილოეთის მიმართულებით.*





*წერტილი #29. ხედი გელათი მონასტრის ეზოდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.*





*წერტილი #30. ხედი გელათი მონასტრის ეზოდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.*



*წერტილი #23. ხედი სოხასტერის ეზოდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. წინა პლანზე გელათის საავტომობილო გზა, მონასტერი და წყაროცხოვრებისას ეკლესია.*





*წერტილი #31. ხედი დავითის კონცხიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. წინა პლანზე დოხორას მთის ტყიანი კალთა, უკანა პლანზე მონასტერი და მის ქვემოთ გაფანტული სასოფლო განაშენიანება და სასოფლო სამეურნეო ნაკვეთები.*

*ფოტო #31-1. ხედი  წმინდა საბას ეკლესიიდან ჩრდილოეთის  მიმართულებით. წინა პლანზე მონასტერი და მის ქვემოთ გაფანტული სასოფლო განაშენიანება და სასოფლო სამეურნეო ნაკვეთები, იკანა პლანზე ხვამლის მთა.*



*ფოტო #31-1. ხედი  წმინდა ნინოს ეკლესიიდან  სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. წინა პლანზე მონასტერი და მის ქვემოთ გაფანტული სასოფლო განაშენიანება და სასოფლო სამეურნეო ნაკვეთები, უკანა პლანზე ქუთაისი.*